ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	Master in Comparative Literary Studies ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში
პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა(სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სასწავლო სემესტრი, 120 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	პროფ. ბელა წიფურია, პროფ. ლევან ცაგარელი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავდა 2011 და განახლდა 2022 წელს. პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით მისი განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის საფუძველზე.
აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ სფეროში, მათ შორის:
ჰუმანიტარული მეცნიერებები (022), ენები (023), ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს (028), სოციალური და ქცევითი მეცნიერებები (031), ჟურნალისტიკა და ინფორმაცია (032), ინტერდისციპლინური პროგრამები და კვალიფიკაციები, რომლებიც მოიცავენ სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას (038), ხელოვნება (021), ბიზნესი და ადმინისტრირება (041), სამართალი (042), ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (061).
ინფორმაცია მისაღები გამოცდების პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესახებ დეტალურად მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“ და თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.iliauni.edu.ge რუბრიკაში ,,მიღება".

პროგრამის მიზნები

სამაგისტრო პროგრამა „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა“ სთავაზობს სტუდენტებს, შეისწავლონ ლიტერატურა როგორც კულტურული და ღირებულებითი სისტემების რეპრეზენტაციის ერთ-ერთი უმთავრესი მედიუმი და დააკვირდნენ ლიტერატურას როგორც ნაციონალურ, ისე ფართო კულტურათშორისსა და გლობალურ / ტრანსკულტურულ კონტექსტში, რაც, ერთი მხრივ, უცხო კულტურის გაგების, ხოლო მეორე მხრივ, თავიანთი კულტურის ერთიან მსოფლიო კულტურულ კონტექსტში გააზრების საწინდარია. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები

- გაეცნობიან ლიტერატურის შედარებითი კვლევის მიდგომებსა და მეთოდებს და გამოიყენებენ მათ დარგის აქტუალური საკითხების / პრობლემების საკვლევად ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ ჭრილში;
- გაიღრმავებენ ცოდნას მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ისტორიული ეტაპებისა და უახლესი ტენდენციების შესახებ და გააცნობიერებენ მათ მიმართებას სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტებსა და ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივ პარადიგმებთან;

- გამოიკვლევენ ქართული ლიტერატურის თემატურ, იმაგოლოგიურ, სტრუქტურულ, ეპოქალურ, ჟანრობრივსა და ესთეტიკურ ასპექტებს მსოფლიო ლიტერატურის ტენდენციებთან მიმართებით;
- გაიუმჯობესებენ აკადემიური კომუნიკაციის კომპეტენციებს კვლევითი ნაშრომის შექმნითა და წარდგენით სამეცნიერო საზოგადოების წინაშე.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

კურსდამთავრებული

1. აღწერს და გადმოსცემს ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მთავარ თეორიულ მოდელებსა და კონცეფციებს და იყენებს მათ ლიტერატურული ტექსტების შედარებითი ანალიზისთვის;
2. დეტალურად ახასიათებს ახალი და უახლესი დასავლური ლიტერატურის მნიშვნელოვან ისტორიულ ეტაპებს და უკავშირებს ლიტერატურულ ნაწარმოებს შესაბამის ისტორიულ, სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურსა და ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივ კონტექსტებს;
3. დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას ქართული ლიტერატურის თემატური, იმაგოლოგიური, სტრუქტურული, ჟანრობრივი და ესთეტიკური ასპექტების შესახებ მსოფლიო ლიტერატურის ტენდენციებთან მიმართებით;
4. კრიტიკულად კითხულობს ლიტერატურულ ტექსტს, ამოიცნობს მასში დასმულ ეთიკურ საკითხებს და წერილობით და ზეპირად წარუდგენს თავისი კვლევის შედეგებსა და ტექსტის ორიგინალურ ინტერპრეტაციას ფართო აკადემიურ საზოგადოებას.

სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- ანალიზი და სინთეზი;
- ელექტრონული სწავლების მეთოდი/ელემენტები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- გონებრივი იერიში;
- ჯგუფური მუშაობა;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- ხელმძღვანელობა;
- რეფლექსია.

შენიშვნა: პროგრამის თითოეული კომპონენტის სილაბუსში და კონცეფციაში დაზუსტებულია გამოყენებული სწავლების მეთოდები.

პროგრამის სტრუქტურა

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის დასრულებისთვის და ლიტერატურის შედარებითი კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი შემდეგი სქემის მიხედვით:

1. სავალდებულო კურსები- 36 კრედიტი;
2. სავალდებულო-არჩევითი კურსები- 42 კრედიტი;
3. არჩევითი კურსები- არაუმეტეს 18 კრედიტი;
4. სამაგისტრო ნაშრომი - 24 კრედიტი.

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალ ური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების დეტალური სისტემა, შეფასების მეთოდების, კომპონენტების და კრიტერიუმების გათვალისწინებით გაწერილია კურსის/კომპონენტის სილაბუსში/კონცეფციაში.

დასაქმების სფეროები

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საერთაშორისო კულტურული, ჰუმანიტარული და სხვა პროექტები;
- საგანმანათლებლო ორიენტაციის საერთაშორისო ინსტიტუტები და ორგანიზაციები, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემათა რედაქციები, მუზეუმები, სარეკლამო სააგენტოები, სხვადასხვა პროფილის დაწესებულებების პრეს-ცენტრები;
- გამომცემლობები, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები, ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებები;
- შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებები.

ამასთანავე, კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სადოქტორო საფეხურზე.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი;
- შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი;
- სალექციო აუდიტორიები;
- ბიბლიოთეკა მისი მუდმივად განახლებადი უცხოენოვანი ლიტერატურის ფონდით, უახლესი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით, ლექსიკონებით, აუდიო-ვიზუალური მასალით;
- უნივერსიტეტში არსებული სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის შიდა საუნივერსიტეტო ქსელი „არგუსი“, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ;
- E-learning , Turnitin;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზები;